# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
# ხელშეკრულება №34

ქ. ბათუმი 11 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი დირექტორის, ნინო ფაღავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ ლაშვარდი"(ს/კ: 245619763) (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ფრიდონი მგელაძის სახით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ( კულტურის სახლების, საკლუბო და სამუზეუმო დაწესებულებებისათვის) **(cvp კოდი-51700000; - cvp კოდი-51700000** ) –9 ცალი (სახანძრო) სირენის მიწოდება მონტაჟი -9 ცალი (სახანძრო) ღილაკის მიწოდება მონტაჟი და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3060 (სამიათასსამოც ) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდოანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალიუტაში.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მიწოდებული მომსახურეობის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელისა და მომსახურეობა მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე დამკვეთი ახდენს ანგარიშსწორებას მომწოდებელთან
4..3. მისაწოდებელი მომსახურეობის ვადაა 2018 წლის 31 ოქტომბრამდე.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. დამკვეთი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლისგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
5.2. დამკვეთი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

## 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს კულტურის ცენტრის დირექტორი.
6.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულების დამღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით;
7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ყოველივადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0,20%-ის ოდენობით.
7.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ვალდებულების დამლევე მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთთან, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“
არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი
ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი
ტელ/მობ: 27 22 68 599 85 14 62
მის: ქ. ბათუმი დიდაჭარის ქ.№25
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხელვაჩაურის ფილიალი,
ს.კ. 248 432 717
ბ/კ: **LBRTGE22**
ან/№ GE88LB01201662318170002

დირექტორი: ნინო ფაღავა

„მიმწოდებელი”
შ.პ.ს. „ლაშვარდი”
მის: ქ. ბათუმი, ვაჟა ფსაველას ქ.№68
ს/კ: 245619763
მობ|ტელ 599 19 55 41
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ბ/კ: **BAGGE 22**
ანგ№ **GE37BG0000000131808400**

დირექტორი: ფრიდონ მგელაძე

ფასთა ცხრილი
(ივსება შემსრულებლის მიერ)

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | (სახანძრო) სირენას მიწოდება მონტაჟი | -9 ცალი | 180 (ასოთხმოცი) ლარი | 1620 (ათასექვსასაოცი) ლარი | ხელშეკრულებით გათვალისწინებული |
| 2 | (სახანძრო) ღილაკის მიწოდება მონტაჟი | -9 ცალი | 160 (ასსამოცი)ლარი | 1440 (ათასოთხასორმოცი) ლარი | |
| საერთო თანხა | | 3060 ლარი | | | |

შ.პ.ს. „ლაშვარდი"

დირექტორი: ფრიდონ მგელაძე ________________

GEORGIA. LIMITED LIABILITY COMPANY "LASHVARDI"
245619763